F2700/13731
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი პირველი.

# კომუნა

საქ. კ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტის დ ალმასკომის ყოველკვირეული ორგანო.

რედაქცია: დრ. მოთავსებულია— ქ. ახალ-სენაკი ლენინის ქუჩა № 45 (განათლების განყოფილების შენობაში)

ყოველგვარი მასალები, კორესპოდენციები და განცხადებანი უნდა გამოიგზავნოს ამხ. ვ. ნადარეიშვილის სახელზე შემდეგი მისამართით: ქ. ახალ-სენაკი ლენინის ქუჩა № 45 (განათლების განყოფ.)

პირადათ მოლაპარიკება რედაქციის პას. მგ. მდივან ამხ. ვ. ნადარეიშვილთან შესაძლებელია ყოველდღე (გარდა უქმე დღეებისა) დილის 11-დან ნაშ. 2 საათამდე ტელეფონი—განათლების განყ

№ 2 კვირა 6 მაისი 1923 წ. ყოველ-კვირეული გაზეთი ფასი 20,000 მ'ნ. № 2

## სალამი ძვირფას სტუმრებს!
## სალამი კომუნიზმის ნორჩ ყვავილებს!
## სალამი კომუნისტურ სახელმწიფოს მომავალ კალატოზებს!

სთურვალე სალამი სენაკის მაზრის მოწაფეთა პირველი კონფერენციის დელეგატებს!

საბჭოთა ხელისუფლება თბილად გიხუტებს თქვენ მშობლიურ გულში.

## სალამი მოწაფეთა კონფერენციას!

გუშინ მაზრის ცენტრში, ქ. სენაკში გაიხსნა მოწაფეთა პირველი კონფერენცია. გუშინ აქ თავი მოიყარეს მაზრის ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის-მოწაფეების წარმომადგენლებმა. გუშინ აქ გავიგონეთ 18 ათასიან მოწაოფეობის დამატკბობელი ხმა.

დიახ, დამატკბობელია მათი ხმა. დამატკბობელია იმიტომ, რომ ახალგაზრდობა ჩვენთვის ყველაფერზე უფრო ძვირფასია; ახალგაზრდობა ჩვენი იმედი და [illegible] ახალგაზრდობა ის დაუშრეტელი წყაროა, საიდანაც უნდა ივსებოდენ ჩვენი კომუნიზმისათვის მებრძოლთა-რიგები.

მშრომელთა ხელისუფლება ჯერჯერობით გამარჯვებულია მხოლოთ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე. მის დანარჩენ ნაწილზე კი მუშების და გლეხების ისეთი მონობაა, ისეთი ყვლეფაა, როგორიც იყო აქ მეფობის და მენშევიკების ბატონობის დროს. საბჭოთა ხელისუფლება იქ, სადაც ის ახლა დამყარებულია, იქნება საფრთხეში მანამდი, სანამ ის იქნება გარემოცული ბურჟუაზიული ქვეყნებით. საბჭოთა რესპუბლიკებს და ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის სწარმოებს განუწყვეტელი ბრძოლა. შეიძლება ეს ბრძოლა დიდხანს გაგრძელდეს. შეიძლება ამ ბრძოლის დამთავრებას ვერ მოესწრონ ის მუშები და გლეხები, რომელნიც დღეს მასში ჩაბმული არიან.

საჭიროა მებრძოლთა ახალი რაზმების მომზადება, საჭიროა ახალი ჯარის შექმნა, რომ გამარჯვება მუშებს და გლეხებს დარჩეს.

მებრძოლთა ეს ახალი არმია უნდა იქნეს შექმნილი ახალგაზრდობისაგან. ახალგაზრდობამ რომ პირნათლად შეასრულოს ეს მოვალეობა, საჭიროა ის აღიზარდოს მშრომელი მასისადმი სიყვარულში და ბურჟუაზიისადმი სიძულვილში; საჭიროა მან შეიგნოს საბჭოთა ხელისუფლების შინაარსი და ბურჟუაზიული წესწყობილების ბუნება.

მაგრამ მარტო ბრძოლაში გამარჯვებით ბურჟუაზიაზე და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით არ თავდება საქმე.

საჭიროა ძველი ქვეყნის ნანგრევებზე ახალი ცხოვრების მოწყობა, ახალი ქვეყნის აშენება. ეს ამოცანა უფრო რთული და ძნელია, ვიდრე ძალა-უფლების დაპყრობა, ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. სწორეთ ეს საქმე მთელი თავისი სიმძიმით დააწვება კისერზე ახლანდელ ახალგაზრდობას, რომელმაც უნდა შესცვალოს ძველი თაობა. ეს მდგომარეობა ავალებს ახალგაზრდობას მთელი თავისი ძალღონე მოა- [illegible] **ახალგაზრდობამ თავისი ახალგაზრდა კბილებით, როგორც ამას ამხ. ტროცკი ამბობს, უნდა დაღრღნას მეცნიერების გრანიტი.**

ეს მდგომარეობა ავალებს საბჭოთა ხელისუფლებას მთავარი ყურადღება ახალგაზრდობას მიაქციოს; ავალებს მას შექმნას ახალგაზრდობისათვის სწავლის საუკეთესო პირობები და აღზარდოს ისე, რომ ის შეიქნეს უშიშარი მებრძოლი საბჭოთა ხელისუფლებისათვის და კომუნისტურ სახელმწიფოს საუკეთესო კალატოზი. საბჭოთა ხელისუფლებას ეს სურს და ის ამას შესძლებს. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია მოწაფეთა კონფერენცია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მოწვევით გუშინ აქ გაიხსნა. მოწაფეთა კონფერენცია გარდა თავისი ოჯახური საკითხებისა, გაითვალისწინებს იმ მოვალეობასაც, რომელსაც ახალგაზრდობას ისტორია აკისრებს. ახალგაზრდობის მდიდარი და ცოცხალი ბუნება არ დაკმაყოფილდება მარტო იმით, რაც სკოლის ცხოვრებას ეხება. ის გაშორდება სკოლის კედლებს და ეზოს, შეიჭრება ცხოვრებაში, ამოკრეფს იქიდან რევოლიუციონურ ენერგიას, შეითვისებს ძველების ბრძოლის მეთოდებს და დავაჟკაცებული მედგარი შეტევით ძირ-ფესვიანათ აღმოფხვრის ბურჟუაზიული წესწყობილების ნაშთებს და მის ნანგრევებზე ააგებს კომუნიზმის მშვენიერ სამყაროს.

გაუმარჯოს მოზარდ თაობას!

გაუმარჯოს მოწაფეთა კონფერენციას!

სალამი მის დელეგატებს!

ს. მ-ლია.

## 5 მაისი „მუშათა პრესის დღე“

### პრესა ბასრი იარაღია პროლეტარიატისათვის.

როგორც არალეგალურ, ისე ლეგალურ ბრძოლაში პრესა წარმოადგენდა და წარმოადგენს მუშათა კლასისთვის მახვილ იარაღს თავის მტერთან ბრძოლის საწარმოებლად. პროლეტარიატი იყენებდა და იყენებს ამ იარაღს კაპიტალისტური წესწყობილების დასამხობად, საკუთარი დიქტატიურის გასამტკიცებლად და მასის აღსაზრდელად კომუნისტურ პრინციპებზე.

### „მუშათა პრესის“ მოკლე წარსული.

„მუშათა პრესას“ აქვს თავისი ისტორია. პეტროგრადის და მოსკოვის პროლეტარიატმა პრესის დღე პირველად იდღესასწაულა 1914 წ. 5 მაისს (ძვ. სტილით 22 აპრილს). ეს დღე იყო გაზ. „პრავდა“-ს არსებობის 2 წლის თავი. „პრავდა“ სასტიკ დევნის ქვეშ იმყოფებოდა და მეფური მთავრობის მიერ მალე დახურულ იქნა. „პრავდა“-ს გამოცემის დღე დაწესებულ იქნა მუშათა პრესის დღეთ. 1922 წლის 5 მაისს რუსეთის პროლეტარიატმა იდღესასწაულა მუშათა პრესის დღე. („პრავდა“-ს გამოცემის 10 წლის თავი). რუსეთში მუშათა პრესა ვითარდებოდა მთელ მუშათა მოძრაობასთან ერთად.

### „მუშათა პრესა“ ოქტომბერში.

ოქტომბრის რევოლიუციის დროს მუშათა პრესამ ითამაშა უდიდესი როლი. მაშინ ის იყო ერთად-ერთი იარაღი აგიტაციის და პროპაგანდის საწარმოებლად დენიკინ-კოლჩაკის და ყოველგვარ ბანდიტიზმის წინააღმდეგ.

ამასთან მუშათა პრესა იყო მთელი ქვეყნის მუშათა კლასის სოლიდარობის გამომხატველი.

### „პრესის თავისუფლება“

ბურჟუაზია ძალიან ხშირად ბლაოდა „პრესის თავისუფლებაზე“,— მაგრამ პროლეტარიატმა გამოაშკარავა ამ ლოზუნგის მთელი სიყალბე.

ეს იდეა საუკეთესო საშვალებაა ბურჟუაზიისათვის მუშათა კლასის მოსატყუებლად. რამდენად „დემოკრატიული რესპუბლიკაში“ მუშათა კლასის თავისუფლება, იმდენადაა „პრესის თავისუფლების“ ლოზუნგში მუშათა პრესის თავისუფლება.- ამხ. ლენინის სიტყვით— „პრესის თავისუფლება არის მდიდრებისთვის ყვლეფის თავისუფლება, მუშებისათვის კი შიმშილით სიკვდილის თავისუფლება. ეს არის მდიდრების მიერ პრესის მოსყიდვის თავისუფლება, ეს არის კაპიტალისტების მიერ მრეწველების, დაქირავების, გამომცემლობათა და გაზეთების შესყიდვის თავისუფლება“.

ჩვენ არასოდეს არ წამოგვცდენია პირიდან ლოზუნგი „პრესის თავისუფლების“ შესახებ და ასეთ სისულელეს არც წამოვროშავთ. დიქტატურის ხანაში, გააფთრებულ ბრძოლის ხანაში პროლეტარიატი არასოდეს არ გამოაცხადებს პრესის თავისუფლებას ყველა კლასებისთვის, ვინაიდან ეს იგივეა, რაც საკუთარი თავის მოსაკლავად დანის ალესვა. ჩვენ აშკარად ვლაპარაკობთ— „ლაგამი ბურჟუაზიისათვის!“ „პრესის თავისუფლება მხოლოდ პროლეტარიატისათვის!“ ამით პროლეტარიატი ებრძვის ბურჟაზიულ იდეოლოგიას და აწარმოებს კომუნისტურ პროპაგანდას.

### რაზე უნდა სწეროს მუშათა გაზეთმა.

მუშათა კლასის გაზეთი სამოქალაქო ომის დროს წარმოადგენდა საგიტაციო იარაღს. დღეს „ნეპოს“ (ახალი ეკონომიური პოლიტიკა) ხანაში აგიტაციიდან ჩვენ გადავდივართ პროპაგანდაზე. მასის აღზრდა კომუნისტურად, გამომჟღავნება საზოგადოებრივი აზრის, გამომჟღავნება ყოველგვარი დაუდევრობის, დაახლოვება გლეხობის ფართე მასასთან, გავრცელება იქ კომუნიზმის იდეის და კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობის შეგნების, საერთოდ გამოყენება გაზეთისა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსთვის ფხიზელ იარაღად და სხვა,— აი მთავარი დანიშნულება თანამედროვე ჩვენი გაზეთის.

### „გაზეთი—სოფლისაკენ!“

ჩვენი გლეხობის ფართე წრეებში ჯერ კიდევ არაა სავსებით შეშუქებული ცენტრალური მუშური გაზეთები. საბჭოთა ქვეყნების ზოგიერთი მხარის გლეხობა სავსებით მოწყვეტილია ცენტრალურ გაზეთებს, არც ცენტრალურ გაზეთებში გამოიკრთობა ჩვენი სოფლის ცხოვრება. ამის გამო უნდა გადმოვისროლოთ ლოზუნგი: „გაზეთი—სოფლისაკენ!“ და ეს ლოზუნგი რეალურ სინამდვილეში უნდა განვახორციელოთ.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება რ. კ. პ. მე 12-ე ყრილობის რეზოლიუცია, სადაც ხაზგასმით ნათქვამია—**უედმიწევნით კავშირის დაცვა გლეხობასთან, უფრო ახლო სოფლის მეურნეობასთან.** ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს ჩვენი ორგანოს, ჩვენი გაზეთის გავრცელებით სოფლის გლეხებს შორის.

ვ. ნ.

**მუშათა გაზეთმა უნდა მიაღწიოს უკანასკნელ მივიწყებულ სოფლის გლეხის ქოხამდი.**

**ყოველ ათ გლეხზე უნდა მოდიოდეს თითო ცალი გაზეთი მაინც.**

**გაზეთის საშვალებით სოფლის გლეხი დაამარცხებს თავის მტერს—სიბნელეს, უვიცობას.**

ახალგაზრდობა დაუშრეტელი წყაროა მებრძოლთა კომუნიზმისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება სიცოცხლის მანანაა ახალგაზრდობისათვის.

ახალგაზრდობა ღვიძლი შვილია საბჭოთა ხელისუფლებისა.

# ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! შეიძინეთ მშრომელთა ინტერესების დამცველი გაზეთი „კომუნა“

რედაქცია.

## სენაკის მაზრის ყველა თემთა კომიტეტების ჰას. მგ. მდივნებს და ქოხ-სამკითხველოების გამგეებს.

**ძვირფასო ამხანაგებო!**

კომუნისტურ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი ყურადღება ამ ჟამად მიქცეულია განათლების ფრონტისკენ, რომელზედაც ბევრი სამუშაოა გასაკეთებელი: აღზრდა მუშათა და გლეხთა მასისა კომუნისტურად, ჩანერგვა მათში კომუნიზმის დიადი იდეის, დაახლოება კომპარტიის წევრებისა სოფლად გლეხებთან, ბრძოლა წვრილ-ბურჟუაზიულ—ნაციონალისტურ-შოვინისტურ მსოფლმხედველობასთან,—აი მთავარი პერსპექტივები იდეოლოგიურ ფრონტზე მუშაობის საწარმოებლად.

საქართველოს კომ. პარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების და პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის მიერ დასახული გეგმები ამ დარგში სამუშაოდ—თქვენი საშვალებით უნდა გატარდეს ცხოვრებაში—სოფლად—ადგილობრივ. მთელი თქვენი მოქმიდება და ენერგია უნდა იყოს მიმართული კომუნისტურ პროპაგანდის საწარმოებლად და კომუნიზმის იდეის განსახორციელებლად. ამ ჟამად ბურჟუაზიული იდეოლოგია და მსოფლმხედველობა სავსებით გაკოტრებულია. მატერიალისტურ, მარქსისტულ-კომუნისტური მსოფლმხედველობა ითვლება ერთად-ერთ სწორ მსოფლმხედველობად. კომუნისტურ პარტიას საკმაოდ მოეპოება ლიტერატურა გლეხთათვის გასაგებ ენაზედაც დაწერილი, რომლის საშვალებით თქვენ შეგიძლიათ აღზრდა ჩვენი გლეხობისა კომუნიზმის პრინციპებზე და ამით დაყენება მათი სწორ გზაზე.

დღეს მთელ საქართველოში და განსაკუთრებით ჩვენს მაზრაში სრული ობიექტიური პირობებია შექმნილი იმისათვის, რომ ამ ფრონტზე მუშაობა გამარჯვებით დაგვირგვინდეს. ის დაწესებულება, ის საშინელი ინსტიტუტი, რომელსაც გლეხების გონება დამონავებული ყავდა და მათი აზროვნება გაყინული,—დღეს უკვე მოსპობილია: არ არის ჩვენს მაზრაში არც ერთი მღვდელი, რომელიც ბევრ ბოროტებას და გარყვნილებას სთესდა. ხალხის გონება განთავისუფლებულია ეკლესია—მღვდლის გავლენისაგან. ხალხმა დაინახა და გამოაშკარავა სამღვდელოების მთელი სიცრუე. ახლა ხალხს სწყურია ახალი რამ, ახალი, რომელიც შეაიარაღებს მას და წაიყვანს სრულ გამარჯვებისაკენ. აი ეს „ახალი“ არის კომუნისტური განათლება, კომუნისტურად ცოდნის შეძენა, რომელიც ყველა იარაღებზე უძლიერესი და უმახვილესია.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენს განკარგულებაშია მთელი რიგი სასოფლო კლუბების და თეატრების (ყოფილი ეკლესიები) და ქოხ-სამკითხველოების, რომელთა საშვალებით თქვენ ადვილად მიაღწევთ სრულ გამარჯვებას. ცენტრი არ მოგაკლებსთ თქვენ ლიტერატურას; ჩვენც მაზრის მომუშავე ამხანაგებიც გაგიწევთ სათანადო ხელმძღვანელობას და ამით გამარჯვება უზრუნველყოფილია.

მირს ბურჟუაზიულ-შოვინისტური აზროვნება და მსოფლმხედველობა!

მირს სიბნელე და უვიცობა!

გაუმარჯოს კომუნიზმის დიად საკაცობრიო იდეებს!

გაუმარჯოს პროლეტარულ-კომუნისტურ იდეოლოგიას და მსოფლმხედველობას!

კომუნისტური სალამით საქ. კ. პ. სენაკის მაზრის საგიტაციო-საპროპაგანდო განყ.-ს გამგე **ი. ჩაკვეტაძე.**

სენაკის მაზრის პოლიტ-განათლების გამგე **ვ. ნადარეიშვილი.**

## ჩემს ძვირფას ახალგაზრდობას![1])

ბუნების მთელი სიმშვენიერის გამომხატველია აყვავილ-ავარდებულ-აფოთლებული მაისი. აქ არის ნამდვილი პოეზია. ბუნება ნაზ წარმტაც ხელოვნებაში იშლება. აქვეა თავისუფალი შრომის განსახიერება. ყოველი არსი მორთულ-მოკაზმულია, ახალგაზრდულად მოსჭვივის. ყველა მთელი თავისი სიმშვენიერით ნაზად და საზრიანად ფუსფუსებს, დარბის, დახტის, გალაღებული შრომობს, მომავალს ამზადებს. ბუნების ქორწილია! რაკარგია, რა მშვენიერია ამ სიყვარულიან შეთანხმებაში ჩამოსხმული ბუნებრივი შრომა! სიყვარულის ეთერში ცურაობ, ლაღობ, ბუნების სიმშვენიერით ტკბები და მასთან გამუდმებით შრომობ, ბუნების მომავალ ბედს სჭედ, ამკვიდრებ! აბა გადახედეთ გიჟმაჟ პოეტის სიმაღლიდან ამ გამაისებულ ბუნებას! ყველა შეხმატკბილებულ შრომაში ჩაფლულა. გიზიდავს, გიტაცებს, გინდა ამ სიმაღლიდან გადმოეშვა ხელებ გაშლილი და ჩაესკვნა ამ ცხოვრების დამატკბობელ საზრიან შრომაში!

ბარაქალა, მშრომელო კლასო, რომ შრომის დღესასწაულად მაისობა აგირჩევია! განა თქვენი ერთ სულოვანი ბრძოლა, ერთსულოვან შრომაში ამოგზობილი, იგივე მაისის ბუნება არ არის? განა ჩვენი ახალგაზრდობა იგივე მაისის ყვავილები არ არის? განა თქვენ ამ ცოცხალ ყვავილებისათვის არ იბრძოდით? დიახ, იბრძვით და ისინიც დაატკბობენ თქვენს გულს, როგორც ბუნებას მაისის ყვავილები.

თქვენ კი ბრძოლის სულის სიტკბოება-იმედო ახალგაზრდობავ! გაეხვიეთ ამ თავისუფალ შრომის ეთერში და გალაღებული ჩაეკონეთ მშრომელ მასას! თქვენ მათი ვარდ-ყვავილები ხართ. ისინი თქვენ გიმზადებენ მტკიცე მომავალს და მტლად გედებიან. თქვენი ვარდ-ყვავილური რხევა მათ ამშვენიერებს, ამხნევებს.

თქვენ გვერდში ამოუდექით მშრომელ მასას და თქვენი ყვავილების სინაზით აათვერადეთ ის! გაანძრიეთ თქვენი ნორჩი ხელები შრომის ქურაზე, შეეჩვიეთ თავისუფალ შრომის სამჭედლოში მუშაობას! შრომის მომავალი მთელი თავისი სინაზით და სიტრფოებით ჩაგეკონებათ ისე, როგორც მაისის ბუნება წარმტაც სიყვარულიან შრომაშია ჩაფლულ-ჩაქსოვილი.

მაშ მედგრად წინ! სანამ ცოცხალი ვართ და ძალა შეგვწევს, ნარეკლიან გზას ჩვენ გაგიკაფავთ. შემდეგ თქვენ იცით, მხოლოდ ჭაღარა არ შეურაცხყოთ!

კომუნიზმის საყვარელნო მერცხლებო ახალგაზრდობავ! სულითა და გულით გილოცავთ მშრომელი მასის ბრწყინვალე დღესასწაულს—პირველ მაისს და აღმზრდელის სპეტაკი გულით გისურვებთ ყვავილობის ხანის მხნედ ჩატარებას და წითელი დროშის ღირსეულად ძილებას!

**ვ. ქანაშვილი.**

1923 წ. 1 მაისი

ქ. ახალ-სენაკი.

[1]) ეს წერილი დამზადებული იყო პირველ მაისის №-სთვის.

ჩამავალმა თაობამ დაიწყო კომუნისტური რევოლიუცია; მომქმედი თაობა განავრძნობს მას; მომავალმა თაობამ-ახალგაზრდობამ—უნდა დაამთავროს ის.

## რად გვიყვარს მოწაფეობა?!

ვის არ უყვარს სიცოცხლით სავსე ქმნილება!

ვის არ უყვარს ის ნორჩი და მუდამ მოძრავი არსი, რომლის მრავალ ფეროვანი ბუნება ყოველთვის სავსეა სიცხოველით და შემოქმედებით!

ვის არ უყვარს ის სპეტაკი გული და სალი სული, რომლებშიც მომავალში გამოიკვეთება მხოლოდ ის, რასაც ნორჩობაში ჩანერგავ!

ვის არ უყვარს ის თვალები, რომლებიც ნამდვილი სიცოცხლის გამომხატველია და ცხოვრებასთან გარიგებენ!

ვის არ უყვარს ის ძლიერი სული, რომელიც „ნება და მოქმედებაა მსოფლიო რევოლიუციის“!

დიახ! გვიყვარს მოწაფეობა! გვიყვარს ახალგაზრდობა! მათგან უნდა გამოიჭედოს ჩვენი ცხოვრების მომავალი; მათგან უნდა გამოიჭედონ შრომის შვილნი; მათგან უნდა გამოიჭედონ ძლიერი ნებისყოფის მქონე პირნი მათგან უნდა გამოიჭედონ მებრძოლნი დახავსებულ ბურჟუაზიულ წესწყობილების დასანგრევად და კაცობრიობის მომავლის—კომუნიზმის—ასაშენებლად.

ვინ მოსთვლის რამდენს ულია უკუღმრათი გზით! ვინ მოსთვლის რამდენი ათასეული და ასი ათასეული ახალგაზრდობა მოუწამლავს კაპიტალისტურ—ბურჟუაზიულ სკოლას და „წმინდა“ ეკლესიას! აბა გავიხსენოთ ერთ წამს ძველი სკოლა. გავიხსენოთ მღვდელი თავისი „ზაკონბოჟით“, მასწავლებელი „ლინეიკით.“ გავიხსენოთ ის ქაოსი და შიში, რომელსაც გვინერგავდენ ბავშობიდან გულში; გავიხსენოთ ფიზიკური სასჯელი, გავიხსენოთ მასწავლებლის მწარე დაცინვა, რომელიც სამუდამოდ ჰკლავდა მოწა-
[illegible]
ქმედების და შემოქმედებით უნარს.

მწარეა, რასაკვირველია, მოგონება.

დღეს ხომ ყველაფერი ეს ისტორიის წარსულს ჩაბარდა.

დღეს სულ სხვა დროა. დღეს ამ უთვალავ ახალგაზრდობას ყავს პატრონი, ყავს მზრუნველი, რომელიც ყოველ წუთს მაზე შრომობს.

მთელი ყურადღება მოწაფეობისკენაა მიქცეული.

მოწაფეობა ჩვენი მომავალია.

ჩვენ გვიყვარს ის.

მუშათა კლასს მოწაფეობის სახით ემზადება მთელი არმია; არმია, რომელიც შეგნებული გზით იბრძოლებს შრომის თავისუფლებისათვის.

## ღია წერილი სენაკის მაზრის მშრომელ გლეხკაცობისადმი.

### I.

**ამხანაგებო მშრომელო გლეხებო!**

სენაკის მაზრა მეურნეობის მაზრაა. მეურნეობას სხვა და სხვა დარგი აქვს, როგორიცაა, მაგ: სიმინდის თესვა, მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა და სხვა... ჩვენი მაზრის ჰაერი და ნიადაგი ყველაზე მეტათ უწყობს ხელს სიმინდის მოყვანას; ამიტომ სიმინდი არის თქვენი ქონების მთავარი საფუძველი. სიმინდით იკვებებით თქვენ, სიმინდით ზრდით და კვებავთ შინაურ საქონელს და ფრინველებს, სიმინდს ყიდით და მით იმოსებით და მოსავთ თქვენს ცოლშვილს. აქიდან აშკარაა, თუ რა ქონებას წარმოადგენს თქვენთვის სიმინდი, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას სოფლის მუშის სიღარიბე-სიღატაკის ორმოდან ამოსაყვანათ. ეს მდგომარეობა კარგად ქონდა და აქვს გათვალისწინებული მუშების და გლეხების ხელისუფლებას, საბჭოთა მთავრობას და ის ყოველ ღონეს ხმარობდა და ახლაც ხმარობს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს, ამაღლდეს სოფლის მეურნეობა. ეს გარემოება კარგათ გვქონდა და ახლაც გვაქვს გათვალისწინებული ჩვენ, თქვენს სამაზრო ხელისუფლების ორგანოს, და ჩვენც ჩვენის მხრით ყოველ ღონეს ვხმარობდით და ახლაც ვხმარობთ იმისათვის, რომ თქვენ გააუმჯობესოთ მეურნეობა საზოგადოთ და მეტი სიმინდი მოიყვანოთ კერძოთ. მეურნეობის ასამაღლებლად საჭირო იყო და ახლაც საჭიროა უმთავრესად სამი მასალა: მიწა, ტეხნიკა (გაუმჯობესებული იარაღი) და ცოდნა.

პირველი მასალა, მასალა მთავარი-მიწა-თქვენ მოგცათ საბჭოთა ხელისუფლებამ. „მიწა მიწის მუშას“-ეს ოდესღაც საოცნებო ლოზუნგი დღეს ხორცშესხმულია; სინამდვილეთაა ქცეული. თუ ძველადნეტარ ხსენებულ ნიკოლოზის და წეს-აგებულ ჟორდანიას მთავრობის დროს თქვენი დამუშავებული ყანების ნახევარი მიქონდა მიწის მეპატრონეებს-მემამულეებს; თუ ძველად მიწა თქვენთვის იყო იმისთანა სანატრელი, ძვირფასი რამ, რომლის შესაძენათ თქვენ არ ზოგავდით თქვენი ოფლით, შიმშილობით და სიტიტვლით თავმოყრილ ოქროებს; დღეს ის სავსებით, სრულიად უსასყიდლოდ გადმოვიდა თქვენს ხელში და თქვენი შრომით მაზე მოყვანილი სიმინდი და სხვა შეადგენს თქვენს სრულს საკუთრებას. სენაკის მაზრაში ჩვენ ჩამოვართვით მემამულეებს 23,500 ქცევა მიწა და სრულიად უსასყიდლოთ დაურიგეთ უმიწო-წყლო და მცირე მიწიან გლეხებს. ორთა შუა რიცხვით ქცევა მიწა რომ შევაფასოთ 50 მ. ოქროს ფულით-შესდგება 1,175,000 მ. (ერთი მილიონი, ას სამოც და თუთხმეტი ათასი მანეთი ოქროთი.) ე. ი. დღევანდელი ბონებით 1,645.000.000.000 (ერთი ტრილიონი, ექვსას ორმოც ხუთი მილიარდი) მან. ამდენი ქონება ოქროთი შეგძინათ საბჭოთა ხელისუფლებამ თქვენ და ამდენათ გაუმჯობესდა თქვენი ქონებრივი მდგომარეობა. ამ მიწებიდან ძველად ორთაშუა რიცხვით მესამედი მაინც მიქონდა მემამულეებს ღალის სახით. თითო ქცევაზე რომ ვიანგარიშოთ მოსავალი ორთაშუა რიცხვით 45 ფ., მივიღებთ 1,057,500 ფ. (ერთ მილიონ, ორმოც და ჩვიდმეტ ათას, ხუთას ფუთს). აქიდან მარტო ღალა, თუ ვიანგარიშებთ მესამედს, შეადგენს 352,500 ფ. (სამას ორმოც და თორმეტ ათას ხუთას ფუთს) ამდენი ფ. სიმინდი, რომელსაც თქვენ ყრიდით მემამულეების სასიმინდეებში. საბჭოთა ხელისუფლებამ ყოველწლიურად შეგძინათ თქვენ. ამდენი სიმინდი ყოველწლიურად საბჭოთა ხელისუფლების წყალობით ემატება თქვენს ქონებას.

ვერავინ ვერ უარყოფს (არამც თუ ჩვენი მოყვარე და პატიოსანი მშრომელი, არამედ ჩვენი მტერიც და მოწინააღმდეგეც) იმას, რომ ჩვენ მიწის საკითხის გადაჭრით თანახმად მშრომელი გლეხების ინტერესებისა, დიდძალი ქონება შევძინეთ გლეხკაცობას. ვერავინ ვერ უარყოფს იმას, რომ ჩვენ მიწის საკითხის კანონიერად (იგულისხმება მუშური კანონიერება) მოგვარებით მოვსპეთ გლეხკაცობის შეუბრალებელი ყვლეფა, მისი ქონების მითვისება ერთი მუჭა მუქთახორა და

# შრომა, ცოდნა და გამარჯვება განუყრელი მეგობრები არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის შემცდარი გზა, რომელსაც ერთხანს ადგა მოწაფეობის ნაწილი (მეშჩანურ-ოპორტიუნისტულ პარტიების ზეგავლენით), ამ ჟამად არც კი არსებობს.

მოწაფეობა ჩვენი მომავალია და მომავალი მოწაფეობისაა.

ვ. ნადირეიშვილი.

საბჭოთა მთავრობა მთელს თავის იმედებს ამყარებს ახალგაზრდობაზე; ამიტომ მთავარი მისი ყურადღება ახალგაზრდობისკენაა მიპყრობილი.

## სურვილი.

გვინდა მუშათა კლასისთვის ავამუშაოთ კალამი
და მთელ მსოფლიოს მივუძღვნათ ამხანაგური სალამი!..
გვინდა რომ მედგარ ბრძოლითა დავიპყრათ ყველა ქვეყნები—
და ცამდი ავაფრიალოთ წითელი სისხლის დროშები!..
გვინდა... მაგრამ ჰე! რას ვამბობთ! ცოტაა მარტო სურვილი:
ჩვენ უნდა გვქონდეს ღრმათ გულში გადამწყვეტ ბრძოლის წყურვილი!..
რომ ფრთა შეისხას სურვილმა,—განხორციელდეს მიზანი,
მოსპოს და გაანადგუროს მთელი ბანაკი მტრისანი!

ნარეკლიანი.

ნებს შეადგენს: შექმნა იაფი, ნამდვილად ახალი სოციალისტური აპარატისა. ყრილობამ მოიწონა ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაციის პროექტი.—ფართე პარტიულ მასების ნებისყოფა მთლიანობისკენ უზრუნველყოფს პარტიისათვის სიმტკიცეს და შეკავშირებას.—პარტიის ამოცანაა წითელი არმიის გამაგრება.

# რადიო—დეპეშები.

## ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

(ბიულეტენი № 30).

**მოსკოვი.** 30 აპრილი. ტემპერატურა—36,7, პულსი—102, სუნთქვა—26, კატარრალური მოვლენები ფილტვებში მოისპენ.

1923 წ. 30 აპრილი, ნაშვადღ. 2 საათი.

## რურის ოლქის ოკუპაცია.

### ახალი მტაცებლობა.

**ბერლინი.** 29 აპრილი სამხედრო რაზმის დახმარებით, საოკუპაციო ხელისუფლებამ კვლავ დაიკავა მთელი რიგი მაღაროებისა. პროტესტის ნიშნად ვატრობერეს მაღაროების მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა.

## მდგომარეობა ჩინეთში.

### მღელვარება ჩინელ მეზღვაურთა შორის.

**პეკინი.** 29 აპრილი. იტყობინებიან ჩინეთის ფლოტის მეზღვაურთა შორის მღელვარების შესახებ. ამ მღელვარების გამო შემოღებულია საიდუმლო სამხედრო წესები.

## სოციალ-დემოკრატები მუშათა დღესასწაულის წინააღმდეგ.

**ვენა.** 30 აპრილი. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უარი განაცხადა 1 მაისს კომუნისტებთან ერთად გამოსვლაზე. ამის გამო კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ავსტრიის სოციალ-დემოკრატები ამჯობინებენ იდღესასწაულონ ნაციონალ-დემოკრატიული დღესასწაული იმის მაგიერ, რომ გამოვიდენ კომუნისტებთან ერთად საბრძოლველ დროშის ქვეშ.

### ქება მკვლელობისათვის

**ბერლინი.** 28 აპრილი. ჯარების მიმართ ბრძანებაში გენერალი დეგუტი აქებს ჯარისკაცების სიმტკიცეს ესენში მუშების დახვრეტის დროს.

### მიაქვთ ყველაფერი.

**ბერლინი.** 1 მაისი. რეინის და ვესტფალიის საქარხნო—საფაბრიკო კომიტეტების ცნობით, ფრანგებმა წაიღეს რუსეთის მუშების მიერ რურის მუშებისათვის გაგზავნილი ხორბლის ნაწილი.

## პირველი მაისობა ბურჟ. ქვეყნებში

### უნგრეთი.

**ბერლინი** 1 მაისი. უნგრეთის მთავრობამ აკრძალა 1 მაისის დღესასწაული და ყოველგვარი კრებები და მანიფესტაციები ამ დღეს.

### ოკუპაციით დაკავებულ რურში.

**ბერლინი.** 1-მაისი. დორტმუნდიდან, ვიტტენიდან და სხვა ადგილიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მიუხედავათ 1 მაისის დღესასწაულის [illegible] კომუნისტებმა გამოუშვეს მუშებისადმი მიმართვა, რომელშიაც მოუწოდებენ მუშებს არ დაემორჩილონ ოკუპანტების ბრძანებას და იდღესასწაულონ პირველი მაისი.

### ბავარიაში.

**ბერლინი.** 1 მაისი. მიუნხენიდან მიღებულ ცნობების თანახმად პოლიტიკური მდგომარეობა კვლავ გართულდა. ეშინიან პირველ მაისის შედეგებისა.

30 აპრილს საღამოს გაიმართა მინისტრთა საბჭოს სასწრაფო სხდომა შექმნილ მდგომარეობის განსახილველად.

### ნიუ-იორკში.

**ბერლინი.** 1 მაისი ნიუ-იორკში 1 მაისისათვის მზადდებოდა დიდი დემონსტრაციები. ამის გამო საშრეწველო კვარტალებში პოლიციამ დააპატიმრა გამოჩენილი კომუნისტები.

### მილანში.

**პარიზი.** 1 მაისი. მილანიდან მიღებულ ცნობების თანახმად გაზ. „ავანტი“-ს პირველი მაისის ნომერი კონფესკაციის წესით წაღებულ იქნა პოლიციის მიერ.

## ამხ. ბუხარინის მოხსენება კომინტერნის მუშაობის შესახებ.

ამხ. **ბუხარინს** დიდის ოვაციებით შეხვდა ყრილობა.

**1) საწარმოო ძალების ნგრევა.**

მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა გამოიწვია საწარმოო ძალების ნგრევა. 1913 წლიდან 1919 წლამდე თუჯის დამუშავება მთელს მსოფლიოში შემცირდა 34.4 პროცენტით; ბამბის წარმოება—30.2%-ით; ხორბლის წარმოება 38.5%. ხდება ფაბრიკა-ქარხნების დაკავება მუშების მიერ იტალიაში, აჯანყება გერმანიაში და კოლოსალური გაფიცვა ინგლისში. საერთოდ ამ პერიოდთან დაკავშირებულია მთელი რიგი გაფიცვებისა და სისხლის ღვრის. 1920—21 წლებს შეიძლება ეწოდოს კაპიტალისტურ ურთიერთობის უდიდესი ნგრევის და ეკონომიური ხასიათის მსოფლიო კოლოსალური კრიზისის ეპოქა. კრიზისი დაიწყო პირველად სრულ სისხლიან კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. 1922—23 წლები იძლევიან გამოცოცხლების ნიშნებს ზოგიერთ ქვეყნებში. ეს მოხერხდა მუშებისაგან ზედმეტი სისხლის გამოწოვით და ზოგიერთ კაპიტალისტების მიერ კონკურენციისაგან თავის შეკავებით. მაგრამ ამით საერთაშორისო მეურნეობა სრულებითაც არ არის აღდგენილი,—მოეწყო მხოლოდ რამოდენიმე კარჩაკეტილი სისტემა. მსოფლიო მეურნეობის აღდგენა კაპიტალისტებს ვერ-ძალუძთ: მათი ცდა ამ საქმეზე ჰაერშია გამოკიდებული.

**2) მილიტარიზმის ზრდა.**

კოლონიებში აჯანყებამ და აგრეთვე იმ პოლიტიკამ, რომელიც თანდაყოლილი თვისებაა კაპიტა-

# პარტიული ცხოვრება

## რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-12-ე ყრილობა.

### რეზოლიუცია ამხ. ზინოვიევის მოხსენების გარშემო ცეკას პოლიტიკურ ანგარიშის შესახებ.

ცეკას პოლიტიკური და საორგანიზაციო ხაზი სავსებით მოიწონა ყრილობამ. ყრილობამ კატეგორიულად დაამოწმა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ურყეობა. ყრილობამ დაადგინა ზედმიწევნით დაიცვას და განავითაროს მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან. პარტიის ლოზუნგია: უფრო ახლო მეურნეობასთან, უფრო მეტი ყურადღება, ხელმძღვანელობა და ძალები სამეურნეო ორგანოებს. მახლობელ წლების ამოცა-

გარყვნილი მემამულეების მიერ. ჩვენმა ხელისუფლებამ მიწა ჩააბარა გლეხს საკუთარ მფლობელობაში და ამით მისცა მას მთავარი მასალა, მთავარი საშვალება ქონების შესაძენათ, სიღარიბე სიღატაკის ორმოდან ამოსასვლელად. ტეხნიკაზე და ცოდნაზე მე შევეცდები გესაუბროთ შემდეგ წერილებში. მხოლოდ ახლა, ამ წერილში მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებას: ჩვენში სარწყავი არხები ჯერ-ჯერობით არ არის გაყვანილი. ჩვენი ყანების მორწყა ბუნებაზეა დამოკიდებული. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ აპრილის შუა რიცხვებიდან გვალვა ხშირი მოვლენაა. გვალვა გიშლით ხელს ყანების დახვნა-დათესვაში. ეს მდგომარეობა გავალებთ თქვენ ადრე დაიწყოთ ხვნა-თესვა და მოათავოთ ის გვალვის დაწყებამდი. გარდა ამისა, ხშირია ისეთი წელიწადი, როდესაც შემოდგომაზე ადრე დგება სიცივე, როცა შემოდგომა წვიმიანია. წვიმიანი და ცივი შემოდგომა ხელს უშლის ტაროების დამარცვლიანებას და დამწიფებას. ეს მდგომარეობაც გავალებთ თქვენ ადრე შეუდგეთ ხვნა-თესვას, რადგანაც ადრე დათესილი სიმინდი მოასწრებს შემოდგომამდი დამწიფებას და მერე მას ვერას ავნებს შემოდგომის წვიმა და სიცივე. ეს ვიცოდით ჩვენ და პირველად 1921 წ. შემოდგომაზე, შემდეგ გაზაფხულზე მოგიწოდეთ თქვენ ადრე ხვნა-თესვისაკენ. ჩვენმა მოწოდებამ გასჭრა და ამის ნაყოფი თქვენ კიდეც დაინახეთ.

1922 წ. კარგი მოსავალი ნახევრად მაინც მიეწერება ადრე ხვნა-თესვის დაწყებას. 1922 წ. შემოდგომაზე ჩვენ ხელმეორეთ მოგიწოდეთ თქვენ გაზაფხულის თესვისათვის მოსამზადებლად.

მიმდინარე წლის გაზაფხულის თესვის დაწყების წინ ჩვენ ისევ მოგიწოდეთ თქვენ ადრე ხვნა-თესვის დაწყებისაკენ. (იხილეთ ამ ნომერში ჩვენი ცირკულიარული განკარგულება თემთა აღმასკომებისადმი). თესვის დაწყების პირველ დღეთ ჩვენ გამოვაცხადეთ 28 მარტი ახალი სტილით (15 მარტი ძველით) უნდა აღვნიშნო, როგორც სამწუხარო მოვლენა, და ეს ამხანაგურად უნდა გისაყვედუროთ თქვენ, ამხანაგებო, რომ ჩვენმა მოწოდებამ ვერ გამოიღო ისეთი ნაყოფი, როგორსაც ჩვენ მოველოდით. მაისი დაიწყო და ჯერ ყანების ნახევარი არ არის დათესილი, ახლა კი ხშირად ხან წვიმა გიშლით ხელს, ხან გვალვა, უფრო ხშირად კი გვალვა. თქვენ რო ჩვენი დაგეჯერებიათ და 28 მარტიდან დაგეწყოთ ხვნა-თესვა, ეს ასე არ იქნებოდა, ახლა თესვა მიწურულზე იქნებოდა.—თქვენს გულგრილობას ხვნა-თესვაში ორი მიზეზი აქვს: ერთი, შარშანდელი კარგი მოსავლის იმედი და მეორე, სიმინდის ფასის დაცემა. შარშანდელი მოსავლის იმედით ცხოვრება თავის მოტყუებაა, საკუთარი თავის და ოჯახის ღალატია, რადგანაც შარშანდელი სიმინდი წრეულს საქმელად არ ივარგებს და რომ ივარგოს მაინც, იმდენი არ მოგსვლიათ, რომ ორ წელიწადს თავი შეინახოთ. ხვნა-თესვაზე გულის აცრუება იმ მიზეზით, რომ სიმინდს კაი ფასი არა აქვს, ესეც დიდი შეცთომაა, რადგანაც სიმინდის ფასი აიწევს; ამაზე მთავრობის მიერ ზომები მიღებულია. სიმინდის ფასმაც რომ არ აიწიოს, მაინც მიწის მუშის მხრივ სიმინდის თესვაზე გულის აცრუება უგუნურებაა, რადგანაც ბევრი იაფფასიანი მეტს ქონებას შეადგენს, ვიდრე ცოტა იაფფასიანი. ეს უდავო ჭეშმარიტებაა, რომელიც თქვენ ერთი წამითაც არ უნდა დაივიწყოთ. სიმინდით თქვენ შეგიძლიათ გაამრავლოთ შინაური საქონელი და ფრინველი, რომელსაც დამაკმაყოფილებელი ფასი აქვს.

თუ წრეულს მოსავალი არ იქნა, ეს დიდი უბედურება იქნება თქვენთვის და მთელი რესპუბლიკისათვის. თქვენ გაწუხებდეთ იქნება შიმშილი და რესპუბლიკას, მსგავსად 1921 წლისა, როდესაც თქვენმა მთავრობამ სიმინდის შესაძენათ საზღვარ გარეთ დახარჯა მილიონამდი ოქროს მანეთი, დასჭირდება დიდძალი ხარჯები შიმშილის კლანჭებისაგან თქვენ დასახსნელად.

ამიტომ ერთხელ კიდევ მოგიწოდებთ მხურვალეთ და გთხოვთ ამხანაგურად **მაგრად ჩასჭიდოთ ხელი კავსა და გუთანს, არც ერთი დღე, არც ერთი საათი არ გაუშვათ არც მაინც, როდესაც შესაძლებელი იქნება მუშაობა; გადაშალეთ მიწის გული, ჩასთესეთ შიგ სიცოცხლის მარცვლები და აახიბინეთ თქვენი ყანები.**

დანარჩენებზე შემდეგ.

მუშურ-გლეხური სალამით

თქვენი **ს. მამულია.**

# „ჩვენ ვქმნით ჩვენს ქვეყანას, ახალ ქვეყანას!“

ლიზმის, აიძულეს კაპიტალისტები გააძლიერონ მილიტარიზმი (საომარი მზადება). მაგალითად ჰაეროპლანი,—1913 წელს სარეკორდო მატორს ქონდა 100 ცხენის ძალა,—ახლა აქვს 3200 ცხენის ძალა. არის აგრეთვე ზარბაზნებით შეიარაღებული ჰაეროპლანები, რომელთაც შეუძლიათ 5000 კილოგრამის ბომბის აწევა. გამოგონილ იქნა ზარბაზნები მოწინაალმდეგის სატახტო ქალაქის და სამრეწველო ცენტრების დასანგრევად. გამოიგონეს აგრეთვე კაპიტალისტებმა **ბაქტერიოლოგიური ბომბები**, რომელთა საშვალებით შესაძლებელია გავრცელება ხოლერის, ტიფის და სხვა ბაცილების. ეს ბომბები მზადდება მეტად „საქველმოქმედო საზოგადოება“-ში—პასტერის ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში.

აი რისთვის იყენებს ბურჟუაზია მეცნიერებას და ტეხნიკას,

### 3) დაჩაგრულ აღმოსავლეთში.

აქ დღითი დღე იზრდება სამოქალაქო ომი. ხდება მთელი რიგი აჯანყებების. აღმოსავლეთი ებმება რევოლიუციონურ ბრძოლის ფერხულში.

### 4) ჩვენი ტაქტიკის გენერალური ხაზი.

კომინტერნის ტაქტიკის გენერალური ხაზი მიმართულია მასების დაპყრობის ლოზუნგისაკენ. **უფრო ახლო მასებთან; ბრძოლა გახრწნილ ოპორტიუნისტულ იდეოლოგიასთან**,—აი მთავარი ლოზუნგი კომინტერნის. მთლიანი ფრონტის ტაქტიკა—ეს უშუალო ბრძოლაა მასებზე გავლენის მოსაპოებლად.

### 5) კომინტერნი იზრდება.

კომინტერნის მხარეზეა როგორც ევროპის პროლეტარული ავანგარდი, ისე კოლოსალური რეზერვი აღმოსავლეთის მრავალმილიონიანი ერების სახით, რომლებიც თანდათანობით ებმებიან ბრძოლაში. **ანტიიმპერიალისტური რევოლიუცია**,—აი მთავარი ამოცანა აღმოსავლეთის კომუნისტების.

### რეზოლიუცია ამხ. ბუხარინის მოხსენების შესახებ.

რ. კ. პ. მე-XII ყრილობა სავსებით იწონებს რ. კ. პ. დელეგაციის მოღვაწეობას კომინტერნის აღმასკომში.

რ. კ. პ. სრულ ანგარიშს უწევს იმ სიძნელეთ, რომელსაც განიცდიან მუშათა პარტიები მთელ რიგ ქვეყნებში, რაც დაკავშირებულია ფაშიზმის ზრდასთან და ბურჟუაზიული რეაქციის მხრივ მუშათა მასების წინააღმდეგ დაწყებულ გააფთრებულ რეპრესიებთან.

ყრილობა უცხადებს კომინტერნს, რომ მისი რუსეთის სექცია თავის პირველ ამოცანად, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, ისახავს ყველა ქვეყნების ძმურ პარტიების დახმარებას კომუნიზმისათვის ბრძოლის დროს მესამე ინტერნაციონალის ნაცადი ხელმძღვანელობით.

## ცირკულიარულად[1])

### სენაკის მაზრის ყველა თემთა და ქ. ყულევის აღმასკომს.

მოახლოვებულია გაზაფხულის თესვის დაწყების დრო. კიდევ უკეთესად, კიდევ მეტის ხალისით, ვიდრე შარშან, მიმდინარე წელს მშრომელი გლეხკაცობა უნდა შეუდგეს თესვის ადრე დაწყებას. სიმინდის ფასების დაცემის გამო, გლეხკაცობას ეტყობა ცოტა გულგრილობა ხვნა თესვის საქმეში. ეს მოვლენა, თუ ამის წინააღმდეგ არ იქნა საჭირო ზომები მიღებული, შეიძლება გადაიქცეს საბედისწეროთ მშრომელი გლეხკაცობისათვის, რადგან მას შეუძლია დააყენოს ის სიმშილობის საშინელების წინ. ჩვენი ვალია —გავაგებინოთ მშრომელ გლეხკაცობას, თუ რა უბედურება მოელის მას, თუ კი ის მთელი თავისი ძალღონით არ შეუდგა თესვას იმ დროიდან, რომელსაც ჩვენ დაუნიშნავთ მას. ჩვენი ვალია —გავაგებინოთ გლეხკაცობას, რომ სიმინდის სიიაფე დროებითი მოვლენაა, მას სათანადო დაფასება ექნება. ჩვენი ვალია —გავაგებინოთ მშრომელ გლეხკაცობას, რომ ის მეურნე, რომელიც მეტ სიმინდს მოიყვანს, ცოტა ფასი ექნება მას, თუ დიდი, უფრო ადრე, უფრო ადვილათ დაახწევს თავს სიღარიბეს, ვიდრე ის მეურნე, რომელსაც ცოტა სიმინდი მოუვა, რადგანაც მეურნის ცხოვრების მთავარი წყარო არის სიმინდი.

სამაზრო აღმასკომი სენაკის მაზრაში **თესვის დაწყების დღეთ აცხადებს 28 მარტს** (15 მარტი ძველი სტილით)

ამ დღეს ყოველი მეურნე უნდა გავიდეს მინდვრათ გუთნით და თესლით ხელში და ამ დღიდან დაწყებული დაუღალავათ უნდა აწარმოვოს თესვა, რომ ის მოათავოს თავის დროზე. ხვნა-თესვა უნდა მოთავდეს პირველ მაისამდი, რომლის შემდეგ მოსალოდნელია ხელის-შემშლელი გვალვა.

სამაზრო აღმასკომი ავალებს ყველა თემთა აღმასკომებს, ეს განკარგულება მიღებისთანავე გააცნონ მშრომელ გლეხკაცობას და ადევნონ თვალყური მისი სისწორით შესრულებას.

გაუმარჯოს ადრე თესვას, რომელიც თავდებია კარგი მოსავლის!

გაუმარჯოს გლეხკაცის მაგარ მარჯვენას!

გაუმარჯოს შრომას!

მიწს სიზარმაცე და დაუდევრობა!

სენაკის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე **ს. მამულია.**

მდივანი კ. **მელიქაძე.**

1) ეს ცირკულიარი დაგზავნილია 12 მარტს.

# ამხანაგო მუშებო!

ამხანაგებო! ჩვენ უნდა გავიგოთ ვინ არიან დღეს—მუშურ-გლეხური ხელისუფლების დროს შრომის კანონების დამრღვევნი; შრომის კანონებს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებშიაც არღვევენ ახალი წურბელები და მწარმოებლები.

ამ ნიადაგზე ხშირად მუშებს შეტაკება უხდებათ თითქმის სახელმწიფო ორგანოებთან. თვით მუშამ უნდა იცოდეს რა სწერია შრომის კანონთა კრებულში, რომ პასუხი მოსთხოვოს მის უფლების შემლახველს და ნაოფლარის მიმთვისებლებს. ამხანაგებო! რუსეთის დიდ რევოლიუციამ საბჭოთა რესპუბლიკაში პროლეტარიატს ერთი დიდი მონაპოვარი შესძინა, ეს არის “შრომის ახალი კრებული„

თუ მუშური ორგანოები და თვით მუშები ფხიზლად იქნებიან, მშრომელს აწი არავინ გაუბედავს დამცირებას, გაყლეფას და შეურაცყოფას. ამ კანონთა კრებული მუშურმა მთავრობამ მუშათა უფლება და მათი შრომის დაცვა სრულიად უზრუნველჰყო.

თუ ურჩი უკანონოთ მოგექცეს, მაშინათვე განუცხადე შრომის ორგანოში, და დამნაშავეს თავის ალაგას მიუჩენს: ამას გვეუბნება ჩვენი შრომის კანონი. მიუხედავათ იმისა, რომ არსებობს ასეთი სავალდებულო წესები, ზოგიერთი თავს ხელაღებულ მწარმოებელი მაინც წარა-მარა არღვევს მუშის უფლებებს და მრავალი ასეთი შემთხვევა სათანადო შრომის დაცვის ორგანოების შეუმჩნეველი რჩება. იყო შემთხვევები, როცა თვით სახელმწიფო ორგანოებმა დაარღვიეს შრომის კანონები.

ამხანაგებო! მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ აი რკინის გზის ლიანდაგზე სენაკში შპალების მომსარშავი ქარხნის მუშებთან, მეორე-შავი ზღვის ლიანდაგზე

და სხვა და სხვაგან მომხდარი ფაქტები.

ეხლა რაღა იქნება მივარდნილ პროვინციებში, თემებში! რა არის საჭირო იმისთვის, რომ მუშის უფლება ერთხელ და სამუდამოთ იყოს დაცული და არავინ შელახოს ის?

მუშამ უნდა იცოდეს რა უფლებები აქვს მას მინიჭებული, რა შეადგენს მის მოვალეობას და პასუხი უნდა მოთხოვოს მისი უფლების შემლახველს. ამისათვის კი საჭიროა შრომის კანონთა კრებულის შესწავლა, არ უნდა დარჩეს არც ერთი მუშა და მოსამსახურე ისე, რომ არ იცოდეს თავისი უფლებები და არ იცნობდეს შრომის კანონებს.

ცხადია ყველასათვის, რომ შრომა აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობისა და მის განსავითარებლათ, ჯანსაღათ ჩაითვლება ის ადმიანი, რომელიც შრომობს, ამიტომაც შრომა, რომ ძვირფასი წყარო იყოს ადამიანის ჯანსაღობისათვის, იგი უნდა მიმდინარეობდეს ნორმალურ პირობებში.

კანტორასა და გონებრივი შრომა, რომელსაც ეწევიან კავშირის წევრთა უმრავლესობა, ჩაითვლება ჯანსაღ [illegible] მაშინ, როდესაც იგი არ დაღლის მშრომელებს. ამის მისახწევად ადგილკომებსა და შრომის დაცვის წარმომადგენელებს, კავშირისა და შრომის კომისარიატის ინსპექტორის დახმარებით, ევალებათ განახორციელონ ჩვენი კანონები; მუშაობის ხნის ქალთა შრომის დაცვის, მოზარდთა და მცირე წლოვანთა შრომის დაცვის და სანიტარულ და ტეხნიკურ პირობათა შესახებ, უკანასკნელნი ეხლა იმდენათ გაუმჯობესებულნი და საუკეთესონი არიან, რომ მათ ბადალი არა ყავთ სხვა ქვეყნებში.

1. ყოველ დაწესებულებაში, სადაც კი მუშაობს 20 მუშაზე მეტი, არსდება შრომის დაცვის კომისია.

2. შრომის დაცვის კომისიას ირჩევს საზოგადო კრება 2-3 წევრისაგან შემდგარს, ამასთან ხსენებულ კომისიაში სავალდებულოა ადგილკომის ერთი წევრის შეყვანა, რომელიც პასუხის მგებელია კომისიის მოქმედებაში.

**შენიშვნა:** იქ, სადაც 20 მუშაზე ნაკლებია, საზოგადო კრება ირჩევს ერთ პირს შრომის დასაცველ მუშაობისათვის საწარმოებლად.

3. კომისია ან შრომის დაცვის წარმომადგენელი უშვალოდ კავშირს იჭერს შრომის დაცვის ინსპექტორთან, ისინი ერთად თვალყურს ადევნებენ შრომის დაცვის კანონების ასრულებას.

4. კომისია ან შრომის დაცვის წარმომადგენელი ყოველ თვიურად ვალდებულია გაუკეთოს მუშაკთა საზოგადოებას თავისი მოქმედების შესახებ მოხსენება და აგრეთვე ყოველ თვიურად მაზრის შრომის ინსპექტორს გადმოუგზავნოს სრული ეკზემპლიარი.

ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ინსტრუქცია. [illegible] უნდა იხელმძღვანელონ როგორც არჩეულ კომისიებმა ისე მშრომის დამცველი ადგილკომების წარმომადგენლებმაც.

(გაგრძელება იქნება).

სენაკის მაზრი შრომის ინსპექტორი **არტემ ნადარეიშვილი.**

# ქრონიკა.

## სამაზრო აღმასკომში.

### მეურნეობის დარგისათვის.

კულტურულ სანიმუშო მეურნეობის მოსაწყობად აგრონომიულ განყოფილებას გადაეცა ნ. მიქელაძის ყოფ. სახლში ორი ოთახი და მთელი ეზო ირგვლივ მდებარე მიწებით.

### მიხურულ ეკლესიების განძეულობის შესახებ.

აღძრულ იქნა შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოთა წინაშე, რათა მან უფლება მისცეს სამაზრო აღმასკომს მიხურულ ეკლესიების განძეულობა გადარიცხოს მდ. აბაშაზე ჰდრო-ელექტრონულ სადგურის გასაშენებელ ფონდში.

### თემთა აღმასკომების რევიზია.

აღმასკომის პლენუმმა ა./წ. 27 აპრილის სხდომაზე დაადგინა: თემთა აღმასკომების მუშაობის შესამოწმებლად არჩეულ იქნას სამაზრო სარევიზიო კომისია.

კომისიაში შედიან: ს. მამულია, ა. ოჩიგავა და ი. კოდუა.

### მიწის რეფორმა ქ. ა.-სენაკში.

მიწათ-მოქმედების განყოფილებას დაევალა ჩაატაროს მიწის რეფორმა წინასწარ განსაზღვრულ ნორმისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით ქ. ახალ-სენაკში ა./წ. 5 მაისამდე.

# დახმარება გაფიცულებს.

ა./წ. მარტის რიცხვებში მოხდა ქ. სენაკის თანამშრომელთა კრება, სადაც მოხსენება გაკეთდა - ევროპაში გაფიცულთა ფონდის გასაძლიერებლად.

ქალაქის მუშა-მოსამსახურეებმა დიდი სურვილი გამოსთქვეს დახმარებოდათ ევროპის იმ მუშებს, რომლებიც აწარმოებენ გადამწყვეტ ბრძოლას ქვეყნის ბატონ კაპიტალთან.

დადგენილ იქნა: ყველამ გადაიხადოს ერთ დროულად 5% თავიანთი ჯამაგირიდან გაფიცულთა დასახმარებლად და ამით მოეხადათ თავიანთი მოვალეობა მოძმე ევროპის მუშების მიმართ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს არა სასურველი ფაქტი: ეს თანხა ჯერ სავსებით ვერ მოგროვილა. ამაში დანაშაული მიუძღვისთ არა მუშებს, არამედ მუშათა კომიტეტებს, რომლებმაც დადგენილება სისრულეში ვერ მოიყვანეს.

ეს უნდა იქნას გამოსწორებული.

**ს. თურქია.**

# ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგი:

მე სრულ თანაგრძნობას ვუცხადებ კომუნისტურ პარტიას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა ინტერესების დამცველია. თანაც ვაცხადებ სურვილს ჩავეწერო ამ პარტიაში და ჩემი ენერგია შევწირო მშრომელთა საქმეს

**რომანოზი ჭავა.**

# ჩვენი ფოსტა.

„**გლეტჩერს**“. გამოგზავნეთ სხვა.

**კ. ფეოდოსიშვილს** რედაქცია ელის თქვენგან ლექსს.

„**იპო მაროშანს**“. დაიბეჭდება შემდეგ №-ში.

**ს. თ-ს.** შემდეგ № ში.

**ვ. კ-ს.** ტეხნიკური მიზეზებისა გამო არ დაიბეჭდება.

**სამაზრო პროფბიუროს.** გამოყავით მუშა-კორესპოდენტები.

**ყველა თემკომებს და რაიინსტრუქტორებს.** გამოყავით ყოველ თემიდან თითო პას. მგ. კორესპოდენტები. მოგვაწოდეთ მასალები, როგორც პარტიულ ცხოვრებაზე, ისე სოფლის გლეხთა ცხოვრებაზე.

**ს. ახ. კომ. კავშირის სენაკის მაზრკომს.** მოგვაწოდეთ მასალები კავშირის ცხოვრებაზე.

**შ. ხახოშიას.** შემდეგ № ში.

პასუხისმგებელი:—**სარედაქციო კოლეგია.**

სენაკის სამაზრო აღმასკომის კ. მარკსის სახელობის ს ტ ა მ ბ ა.